

დაჩი თაქთაქიშვილი



სამუსიკო ხელოვნების
ფილოსოფიურ-ესთეტიკური
გააზრებანი



ღარი თაქთაქიუვილი

**სამუსიკო ხელოვნების
ფილოსოფიურ-ესთეტიკური
გააზრებანი**

**თბილისი
გამომცემლობა „ს.ვ.მ.კ.“
2013**

7.01
371.036
თ.018

*ამ მცირე წიგნს ვუძღვნი მაგისტრატურის წლებში ჩემი პედაგოგის, საქვეყნოდ სახელგანთქმული პიანისგის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ **თენგიზ ამირეჯიბის** ნათელ ხსოვნას.*

რედაქტორი ფილოსოფიის დოქტორი, ს.გ.უ-ს PR-ისა და
ფილოსოფიის მიმართულების პროფესორი
ვანო ჭიაურელი

რეცენზენტი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი
რევაზ თავაძე

ISBN 978-9941-0-5717-5
გამომცემლობა „ს.ვ.მ.კ.“
თბილისი – 2013
© დ. თავთაქიშვილი, 2013

სარჩევი

1. „მიმეზისის“ პრობლემა ძველბერძნულ
ფილოსოფიასა და მუსიკის ხელოვნებაში 5
2. **ღირებულება და ესთეტიკური შეფასების**
მხატვრული ფორმა – ხელოვნება 24



რედაქტორის წინათქმა

ამ წიგნის ავტორი, პიანისტი დაჩი თაქთაქიშვილი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა არა მხოლოდ მუსიკალური ნიჭიერებით, არამედ ამროვნების განსაკუთრებული უნარით.

ცდუნებას ვერ ვუძლებ, ერთი შემთხვევა რომ არ გავიხსენო მისი ბავშვობიდან. დაჩი 4 წლისაა. გაისმა ტელეფონის ზარი. დედა სამზარეულოშია. ყურმილი დაჩიმ აიღო, – „გისმენთ!“ ოჯახის ნათესავი ქალბატონი სიყვარულით ეკითხება ბავშვს, – „ხომ კარგად ხარ, ჩემო სიცოცხლე, რატომ გაქვს ასეთი სევდიანი ხმა?“ – „იმიტომ, რომ ამრები მაწუხებს ძალიან ხშირად!“ – „სხვა რამემ არ შეგაწუხოს, ჩემო კარგო და მაგას რა სჯობს, ამრები თუ გაწუხებს!“ – მთელ სანათესაოს მოსდო ეს ამბავი პაგარა დაჩის ჭკვიანური პასუხით აღგაცებულმა ქალბატონმა თამილა ბიძინაშვილმა.

დაჩიმ, თბილისის მე-9 მუსიკალური სასწავლებლის შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ამავე სასწავლებლის კოლეჯში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა თბილისის 57-ე სკოლის პარალელურად. იმავე წელს ჩაირიცხა კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტზე, პროფესორ რევაზ თავაძის კლასში. მაგისტრატურაში დაჩი პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის ხელმძღვანელობით სწავლობდა. წარჩინებით დაამთავრა მაგისტრატურა.

15 წლის დაჩიმ, კლასიკური მუსიკის გრადიციების მქონე ქალაქ ქუთაისში, თავის დედუღეთში, ოპერის თეატრში (სრული ანშლავით) გამართა წარმატებული კონცერტი, რომელიც მიუძღვნა თავისი ბებისა და ბაბუის – ჯულიეტა თოფურიძისა და ეგნატე გვასალიას ხსოვნას.

დაჩის უამრავი სოლო-კონცერტი აქვს გამართული კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში; აგრეთვე შვეიცარიის ქალა-

ქებში: ქენევაში, ბერნში, ინგერლაკენში, ვევეში, ღუბუნგენში, ივერ-
ლონში, სიმპლონის ალპებში და სხვაგან.

ღღეს იგი კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური სემი-
ნარიის ერთ-ერთი წარჩინებული პედაგოგია. მისი მოსწავლეები
(განსაკუთრებით რაგი სხირგლადე) ამ წლის რესპუბლიკურ კონ-
კურსებში მრავალგზის გამარჯვებულნი არიან.

2011 წელს წიგნად გამოიცა დაჩი თაქთაქიშვილის სადიპლომო
ნაშრომი საფორტეპიანო მუსიკის ისტორიაში – „პიანისტური ხე-
ლოვნების დიდოსტაგები: იოზეფ ჰოფმანი, ფერუჩო ბუზონი“, რასაც
მოჰყვა დიდი გამოხმაურება იმის გამოც, რომ „თითქმის არ მო-
გვეპოვება ორიგინალური ლიგერატურა ქართულ ენაზე, რომელიც
ეხება საფორტეპიანო შემსრულებლობას“ (პროფ. რევაზ თავაძე,
დაჩი თაქთაქიშვილის წიგნის, – „პიანისტური ხელოვნების დიდოს-
ტაგები: იოზეფ ჰოფმანი, ფერუჩო ბუზონი“ – რეცენზენტი).

როგორც უნიჭიერეს პიანისტს, დაჩის ვიცნობ მისი პირველივე
კონცერტიდან.

2011 წელს გამოცემული ზემოხსენებული წიგნის ავტორმა –
დაჩიმ გამოცა თავისი პროფესიონალიზმითა და ორიგინალურო-
ბით გენიალური პიანისტების ჰოფმანისა და ბუზონის შეფასებისას;
ხოლო ამ მეორე წიგნმა – „სამუსიკო ხელოვნების ფილოსოფიურ-
ესთეტიკური გააზრებანი“ – დაჩი თაქთაქიშვილი ლოგიკურად
მოაზროვნე სერიოზულ ფილოსოფოსად დაბადა, რაც ძალიან მახა-
რებს და ვულოცავ მას მთელი გულით.

ვანო ჭიაურელი

„მიმეგისის“ პრობლემა კველბერკნულ ფილოსოფიასა და მუსიკის ხელოვნებაში

ანტიკური ხანის ესთეტიკური თეორიების აღმოცენება ძველი წელთაღრიცხვით VI საუკუნეში იწყება. თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მან ჩვენს ერამდე VI-V საუკუნეებში, ძველ საბერძნეთში მიაღწია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმინი „ესთეტიკა“ გაცილებით გვიანდელი წარმოშობისაა.

მე-18 საუკუნის შუა წლებში, კერძოდ, 1750-1758 წლებში გერმანიაში გამოვიდა ალექსანდრ გოგლიბ ბაუმგარტენის წიგნი სათაურით – „Aesthetik“, რომელიც 2 ტომისაგან შედგებოდა. ბაუმგარტენის ამ წიგნმა სათავე დაუდო იმ მეცნიერებას, რომელსაც საგანთა მშვენიერება უნდა განეხილა ფილოსოფიასთან მჭიდრო კავშირში. გერმინი „ესთეტიკა“ ბაუმგარტენმა აიღო ბერძნული სიტყვიდან „აესტანომაი“, რაც „გრძნობად აღქმას“ ნიშნავს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაუმგარტენი ესთეტიკის საგანს ბლუდავდა მხოლოდ მშვენიერების, სილამაზის გაგებით. რაც შეეხება ხელოვნებას, იგი მას ესთეტიკის ფარგლებიდან სავსებით გამორიცხავდა.

ამის პოლარულად საწინააღმდეგო აზრი ეკუთვნის გერმანული კლასიკური ფილოსოფიისა და ესთეტიკის უდიდეს წარმომადგენელს – გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს, რომელიც თვლიდა, რომ ესთეტიკას უნდა დარქმეოდა „სიტყვა-კამბული ხელოვნების ფილოსოფია“. ეს ფილოსოფია სრულებით არ განიხილავდა მშვენიერებას ბუნებაში (ჰეგელის

ობიექტივიზმიდან გამომდინარე), მისი საგანი მხოლოდღა-
მხოლოდ ხელოვნების მშვენიერება უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება გერმინ „მიმეზისის“ ეტიმოლოგიურ მნი-
შვნელობას, იგი ძველბერძნულია და „მიბაძვას“ ნიშნავს.

ეს გერმინი, მართალია წინასოკრაგულ ფილოსოფიაში
ჩნდება, მაგრამ მისი განვითარება და ახსნა განსაკუთრებით
საინტერესოდ წარმართება როგორც ობიექტური იდეალიზ-
მის ორი უდიდესი მოაზროვნის – სოკრატესა და პლატონის
ფილოსოფიაში, ასევე პლატონის უნიჭიერესი მოსწავლის –
არისტოტელეს ნააზრევში; არისტოტელესი, რომლისთვისაც
(მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ) ძვირფასი იყო პლატონი,
მაგრამ უფრო ძვირფასი – ჭეშმარიტება.

წინასოკრაგული აზრები და გამოკვლევანი მიეწერება
როგორც პითაგორასა და „პითაგორას ორდენის“ წარმო-
მადგენლებს, ასევე ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს, ემპედოკლეს.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ პითაგორამ (ხაზ-
გასმები აქაც და ყველგან ჩემია! დ.თ.) არა მხოლოდ გეო-
მეტრიული „პითაგორას თეორემა“ დაგვიტოვა, არამედ სამ-
ყაროს საწყისის – „მონადური ერთის“ წიაღში აღმოცე-
ნებული მისტიკური რიცხვების ფილოსოფიაზე დაყრდნობით,
პირველი მუსიკალური სიმებიანი ინსტრუმენტი – „კითარიც“
მან შექმნა.

პითაგორელები შეიძლება ჩაითვალოს მუსიკალური
ჰარმონიის შესახებ მოძღვრების ფუძემდებლებად. პითა-
გორელთა ნაშრომებს მუსიკის შესახებ უმარამაზარი მნიშვნე-
ლობა გააჩნდა. მათ პირველებმა წამოაყენეს აზრი იმის
თაობაზე, რომ მუსიკალური ტონის ხარისხობრივი თავი-
სებურება ქლერადი სიმის სიგრძეზეა დამოკიდებული. ამ
საფუძველზე პითაგორელებმა განავითარეს მოძღვრება


მუსიკალური ინგერვალების მათემატიკურ საფუძვლებზე. მათ დაადგინეს შემდეგი მუსიკალური ჰარმონიები: ოქტავა – 1 : 2, კვინტა – 2 : 3, კვარტა 3 : 4. აქ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ პითაგორელები ესთეტიკურის ობიექტურ საფუძველს ეძებენ. ამასთანავე, ეს საფუძველი მათი აზრით, რაოდენობრივი განზომილებისთვისაა ხელმისაწვდომი. პითაგორელებს ჰარმონია ესმით, როგორც „წინააღმდეგობათა შეთანხმება“. ისინი ჰარმონიას აიგივებდნენ სრულყოფილებასა და სილამაზესთან. მათ (პითაგორელებს) მიაწერენ მუსიკის სამკურნალოდ გამოყენებასაც.

როგორც უკვე აღინიშნა, ძალზე საინტერესოა ინგერვალთა ის თეორია, რომელიც პითაგორამ წამოაყენა. თუმცა სხვა სკოლაშიც (ე.წ. „ჰარმონისტების სკოლაში“), რომელიც სათავეს იღებდა არისტოქსენედან, არსებობდა მუსიკის აგების ცდა სმენის მოთხოვნილებების შესაბამისად, მაგრამ ეს სკოლა, ბოლოსდაბოლოს, მათემატიკურ გააზრებებამდე დავიდა.

პითაგორელებმა კი წინასწარ განჭვრიტეს პლატონის აზრები; მაგალითად, შეხედულება სიკეთეზე, როგორც ჰარმონიაზე. ისინი ეძიებდნენ ჰარმონიას ყველგან, არა მხოლოდ მორალურ სამყაროში, არამედ კოსმოსურშიც. პითაგორას თანახმად, მუსიკალურ ჰარმონიას შეუძლია დაამშვიდოს, განწმინდოს და განკურნოს არა მხოლოდ სული, არამედ სხეულიც.

პითაგორელთა მოძღვრება ჰარმონიის შესახებ, როგორც ერთიანობა მრავალფეროვნებაში, საფუძვლად დაედო ყველა მოსაზრებას მშვენიერების შესახებ მთელი ორი ათასწლეულის მანძილზე.

დიალექტიკის შესახებ მოძღვრების უძველესი ფუძემდებელი – ჰერაკლიტეც ვერ გაექცა პითაგორელთა გავლენას.



**და-ძმა ჩიორა და დანი თაქთაქიშვილები
პაატა ბურჭულაძესთან, – საქართველოს სახალხო
არტისტთან, მსოფლიოში სახელგანთქმულ ბარიტონთან**



**დანი და ჩიორა კამერული ორკესტრის „მოსკოვის ვირტუოზები“
შემქმნელთან და მხატვრულ ხელმძღვანელთან
ვლადიმირ სპივაკოვთან**

ჰერაკლიტესთან, ისევე, როგორც პითაგორელებთან, მშვენიერების გაგება ამოწურულია ჰარმონიის გაგებით. პითაგორელთაგან განსხვავებით, ჰერაკლიტე ფიქრობს, რომ ჰარმონიის მისაღწევად საჭირო არაა რაიმე სახის გამოთვლები. საკმარისია ვხედავდეთ გარემომცველ სამყაროს. გარდა ხილული ჰარმონიისა, არსებობს აგრეთვე უხილავი, გონებით მიღწევადი ჰარმონიაც – „ლოგოსი“.

ძველი საბერძნეთის მხატვრული შემოქმედების პრაქტიკის განზოგადების ცდებიც პირველად სწორედ ჰერაკლიტემ და დემოკრიტემ, – ძველბერძნული გულუბრყვილო მაგერიალიზმის წარმომადგენლებმა მოგვცეს. ამ ორ ფილოსოფოსს არავითარი ეჭვი არ ეპარება მათგან დამოუკიდებელი გარესამყაროს ობიექტურ არსებობაში.

ჰერაკლიტე გრძნობის ორგანოებს აღარებს სარკმლებს, რომლებიც გახსნილია გარემომცველ სამყაროში და უპირატესობას ხაზგასმულად იმას ანიჭებს, რაც შეიძლება დავინახოთ, მოვისმინოთ და შევისწავლოთ. სინამდვილის ასახვაში ჰერაკლიტე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გონებას, როგორც განზოგადების საშუალებას და როგორც გრძნობადი აღქმის განმმარტებელს. ანტიკური ხანის მაგერიალისტი ფილოსოფოსები ხელოვნებას განიხილავენ, როგორც ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების ერთ-ერთ საშუალებას. ჰერაკლიტესთვის მშვენიერება ხელოვნებაში ცხოვრებისეული მშვენიერების მიბაძვას წარმოადგენს (აი, უკვე იწყებს არსებობას „მიმემზისის თეორია“ ჰერაკლიტეს ესთეტიკაში!). ის დარწმუნებულია, რომ მშვენიერია ობიექტური წესრიგი, ანუ სამყაროს წყობა, მშვენიერია მთელის (ერთიანის) ჰარმონია, რომელიც მყარდება ურთიერთსაწინააღმდეგო ნაწილების ბრძოლის პროცესში. ხელოვნება (მუსიკა, ფერ-

წერა) – განსხვავებულ ელემენტთაგან (ბგერების, ფერების-საგან) ქმნის რაღაც მთლიანს, დასრულებულს, ჰარმონიულს.

ობიექტურ სამყაროში ჰარმონიის წარმოქმნის პროცესს რომ ანალიზებს, ჰერაკლიტე აცხადებს: „ხელოვნებაც ასევე იქცევა, როცა ბაძავს ბუნებას. სახელდობრ, ფერწერა აურევს ერთმანეთში თეთრ, შავ, ყვითელ, წითელ, მწვანე ფერებს და ქმნის ორიგინალთა შესაბამის გამოსახულებებს. მუსიკა ქმნის მთლიან ჰარმონიას, როდესაც შეათანხმებს განსხვავებულ ხმებს ერთად სიმღერის დროს, – მაღალ და დაბალ, მოკლე და გაგრძელებულ ბგერებს“.

ჰერაკლიტეს წიგნში „ბუნების შესახებ“ აისახა მისი დროის მაღალგანვითარებული მხატვრული შემოქმედება. იგი ასახელებს ჰომეროსს, ჰესიოდეს და ქებით მოიხსენიებს მათ ქმნილებებს.

ემპედოკლეს იმეორებს პითაგორელთა მოძღვრებას ჰარმონიის შესახებ, როგორც ერთიანობას მრავალფეროვნებაში. ერთიანობა, ემპედოკლეს მიხედვით, იქმნება სიყვარულის წყალობით, ანუ სხვადასხვა სახის ელემენტთა მიზიდვით.

„მიმემისის თეორიას“ უფრო აღრმავეს მაგერიალისგ-აგომისგი დემოკრიტე. თავისი შემეცნების თეორიის დამუშავებისას იქიდან გამოდის, რომ ჩვენი შეგნება წარმოადგენს ობიექტური სამყაროს საგნებისა და მოვლენების უშუალო ამსახველს. ხელოვნების აზრი, – ამბობს დემოკრიტე, – სინამდვილის მიბაძვაშია. ხელოვნების წარმოშობაც კი დაკავშირებულია მიმბაძველი არსების – ადამიანის მიმბაძველობით მოქმედებასთან. დემოკრიტე იცავდა აგრეთვე აზრს იმის თაობაზე, რომ სიგყვა გაჩნდა და განვითარდა, როგორც ბუნების ბგერებისადმი მექანიკური მიბაძვა. მან

ეს თეორია გაავრცელა მუსიკის წარმოშობაზეც. მისი აზრით, პირველად ალბათ მაშინ ამღერდა ადამიანი, როცა შეეცადა მიებაძა ჩიტიების გალობის, ნაკადულის რაკრაკისა, თუ სხვა დანარჩენი, ბუნებიდან მომდინარე ხმებისათვის. თავდაპირველად, ეს ალბათ ამორფული, ადამიანის ყურისათვის ძნელად ასაგანი ხმები იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მოხერხდა ამ ბგერების დახვეწა, რაფინირება და იქცა ესთეტიკური ტკობის გამომწვევ ხელოვნებად.

ყოველივე შემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს, – „მიმეზისის თეორია“, რომელსაც გულუბრყვილო მაგერიალიზმის ძველბერძენი ფილოსოფოსები ავითარებდნენ, მაინც მექანიკური მიბაძვის ხასიათს უფრო აგარებს, ვიდრე სინამდვილის მხატვრული ასახვის, შემოქმედის თვითრეალიზაციისას.

სოკრატე, რამდენადაც იგი ცნობილია ქსენოფონტეს ჩანაწერებიდან და პლატონის (მისი მოწაფის) დიალოგებიდან, შედარებით მცირე ყურადღებას უთმობდა საკითხებს მშვენიერებასა და ხელოვნებაზე იმის მიუხედევად, რომ თვითონ სწორედ ხელოვანის (მოქანდაკის) ვაჟიშვილი იყო. სოკრატეს ყურადღების ცენტრი ადამიანზე იყო გადატანილი. **სოკრატემ, დელფოსის ფრონტონზე გამოკრული სიგყვებით**, – „შეიცან თავი შენი!“ – აზროვნებისკენ მოუწოდა კაცობრიობას. სოკრატესთვის უმთავრესი იყო ჭეშმარიტებისა და მორალის საკითხები. ჭეშმარიტების სამყარო მისთვის არ იყო გრძნობად-აღქმადი სამყარო, ანუ ბუნება (რომელიც სოკრატესათვის მხოლოდ რელატიური ხასიათის მაგარებელია), არამედ ეს იყო ინტელიგიბელური, ანუ მხოლოდ აზროვნებით მისაწვდომი ურყევი იდეების სამყარო. ამიგომ მშვენიერების ფენომენის არსებობა ერთ ცალკე აღებულ საგანსა თუ



**18 წლის დარი თაქთაქიშვილი, თავისი სოლო-კონცერტის
შემდეგ კონსერვატორიის მცირე დარბაზში,
მადლობას უხდის მსმენელებს.**

ემპირიულ მოვლენაში მისთვის გამოირიცხულია. საგანი მშვენიერი – შეიძლება მხოლოდ სხვა საგანთან მიმართებაში იყოს, რადგან რაოდენ სრულყოფილიც უნდა იყოს მაიმუნი მაიმუნურ სამყაროში, იგი ვერასდროს შეედრება ადამიანის ადამიანურ სრულყოფილებას და სილამაზეს, რომელიც, თავის მხრივ, უფერული და უგვანოა ღვთაების ზეაღმატებულ, აბსოლუტურ მშვენიერებასთან შედარებით.

ამიგომ სოკრატე იძულებულია, დედამიწაზე მშვენიერ საგნად ადამიანისათვის სასარგებლო რამ მოიპოვოს, ანუ მშვენიერება უტილიტარულთან გააიგივოს და მიდის დასკვნამდე, რომ უძვირფასესი ოქროს ფარი ვერაფრით იქნება მშვენიერი, თუ ის თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს, მაშინ, როცა ნაკელით სავსე კალათასაც შეიძლება მშვენიერი ვუწოდოთ, თუ იგი ადამიანს მიწის გასანოყიერებლად მაინც გამოადგება. ე.ი. სოკრატესათვის მშვენიერი არის სასარგებლო და სასარგებლო – მშვენიერი.

ხელოვნება, სოკრატეს აზრით, მხოლოდ მიბაძვია ბუნებისადმი. მაგრამ სოკრატეს სანაქებოდ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მას მიეწერება აზრი იმის თაობაზე, რომ მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად აუცილებელია მშვენიერების ცალკეულ ელემენტთა თავმოყრა, სინთეზი, რომლებიც გაბნეულნი არიან ბუნებაში მსგავსად იმისა, როგორც გეგქსისმა მშვენიერი ელენეს სახის შესაქმნელად თავის სახელოსნოში თავი მოუყარა ქალაქის 5 ულამაზეს ქალს. მხატვარი, სოკრატეს აზრით, აღწევს და ხორცს ასხამს მშვენიერ სულს – სხეულის შემწობით. ქანდაკება არის სულიერი მოღვაწეობის გამოხატვა – ფიგურის დახმარებით. ე.ი. სხეული სივრცეში, სოკრატეს მიხედვით, მხოლოდ საშუალებაა იმ მიზნის მისაღწევად, რასაც სულის გახსნა ქვია. მისი აზრით,

უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კეთილმოქმედ ხასიათთა ხელახლა შექმნას, რაც სიყვარულის ღირსი იქნება.

ანტიკური ხანის უმნიშვნელოვანესი მოაზროვნე, სოკრატეს მოწაფე – პლატონი იმ ფილოსოფიური მიმართულების საბოლოოდ გამფორმებელი და ფუძემდებელია, რასაც ობიექტივიზმი, ანუ ობიექტური იდეალიზმი ქვია და რომელიც გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში ჰეგელმა დააგვირგვინა.

პლატონისათვის მშვენიერება იმქვეყნიური ბეგრძნობადი ჭეშმარიტებისა და სიკეთის მხოლოდ გრძნობადი გამოხატულებაა. ამრიგად, სილამამე დამაკავშირებელი ძაფია გრძნობად და ბეგრძნობად სამყაროთა შორის. მაგრამ ასეთი მაღალი შეფასება პლატონის მიერ ვრცელდება მშვენიერებაზე ხელოვნების გარეშე. მშვენიერება შეიმეცნება უშუალო ჭვრევით, ინტუიციით. ხოლო რაც შეეხება ხელოვნებას, მას ნამდვილად არ წყალობს პლატონი, რადგან ღუალისგია. მისთვის არსებობს ორი სამყარო. ერთი, ეს არის გრძნობად აღქმადი, ანუ ბუნება, – გარკვეული ისტორიის მქონე: აღმოცენებადი, განვითარებადი და ალგვადი პირისაგან მიწისა; დროებითი, ხრწნადი, წარმატადი, არანამდვილი და არაჭეშმარიტი, არამედ მოჩვენებითი; ხოლო მეორე, ეს არის მარადიული, ყოველთვის თავის თავის იგივეობრივი, ჭეშმარიტი და ურყევი, ობიექტურად არსებულ იდეათა სამყარო. აი, სწორედ ამ იდეების უბადრუკი და არასრულფასოვანი ხორცშესხმაა გრძნობად სამყაროში არსებული საგნები და მოვლენები – ადამიანების ჩათვლით. ადამიანი, ვთქვათ სოკრატე, მოკვდავია, ხოლო ადამიანობის იდეა – უკვდავი.

„მიმემისის თეორიაც“, პლატონმა, ძველბერძენი მაგერილისგებისგან განსხვავებით, სწორედ ამ კონცეფციის საფუძველზე განავითარა.

პლაგონი არ უარყოფს იმას, რომ ხელოვნება ბაძავს გრძნობად სამყაროს, მაგრამ სწორედ ამის გამო მას ხელოვნებისთვის მკაცრი განაჩენი გამოაქვს. პლაგონის აზრით, თვითონ გრძნობადი საგნების სამყარო, რომელსაც ხელოვნება ბაძავს, წარმოადგენს მხოლოდდამხოლოდ ფერმკრთალი აჩრდილების სამყაროს, რომელიც არის მარადიულად არსებული, უცვლელ იდეათა ჭეშმარიტი და აბსოლუტური სამყაროს დამახინჯებული მსგავსება. მაშ, რაღა უნდა იყოს ხელოვნება, რომელიც სწორედ გრძნობად საგანთა და მოვლენათა სამყაროს ბაძავს?! ხელოვნება – მიბაძვის მიბაძვაა, ანუ აჩრდილის აჩრდილი! ამასთან იგი, ყველაფერს რომ ბაძავს, ე.ი. ცუდს, სულელურსაც ბაძავს და ჩვენში იწვევს გრძნობას, რომელიც საჭიროა ჩახშობილ იქნას, ჩვენ კი, ამის ნაცვლად, ამ გრძნობათა მონები ვხდებით.

პლაგონისთვის ცნება არის უმაღლესი და ნამდვილი არსი. პირველადია მხოლოდ ის საგანი, რომელსაც ღვთაება, ანუ ღმერთი ცნებით ქმნის. მეორადია ღვთაების მიერ შექმნილისადმი მიბაძვით ოსტაგის მიერ გაკეთებული საგანი. მესამე ადგილზე გამოდის ხელოვანი, რომელიც ბაძავს ხელოსნის მიერ შექმნილ საგნებს. აქედან გამომდინარეობს პლაგონის ცნობილი გრიადა: იდეა → საგანი → ხელოვნების ნაწარმოები. ამით პლაგონმა სავსებით უგულებელყო ხელოვნების შემეცნებითი ძალა, ხელოვანის მხატვრულ-ესთეტიკური, შემოქმედებითი უნარი.

თუმცა პლაგონს არ შეუძლია თვალი დახუჭოს იმ ჭეშმარიტ მხატვრულ ღირებულებებზე, რასაც ჰომეროსის, ჰესიოდეს ქმნილებები ფლობენ. გამოსავალს იმაში პოულობს, რომ ღირებულებებს შემოქმედთა დამსახურებად არ თვლის. ამ დამსახურებას მუშებს მიაწერს, რომლებიც ანებივრებენ



**პროფ. თენგიზ ამირეჯიბი, დარი თაქთაქიშვილი, მისი მეუღლე
ნათია ბერაია და მათი შვილი ლუკა**



**ნათია და დარი მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ
პიანისტ – ელისო ვირსალაძესთან, სტუმრად, მიუნხენში**

ხელოვანებს. მაშასადამე, ღირებულებებს ქმნიან არა ხელოვანები, არამედ კალიოპე, ვეთერპე, კლიო, მელპომენე, თალიე, ტერფსიქორე, ეროსი, პოლიგიმნია, აპოლონია.

თავის დიალოგში „იონი“ პლატონი პოეტებს დამაგნიტებულ რკინის რგოლებს აღარებს. მაგნიტი იზიდავს ლითონის რგოლებს, ამავე დროს მათ აძლევს ძალას, მიიზიდონ ლითონის სხვა რგოლები, მაგრამ ეს ლითონის რგოლი თავისი ახლადშექმნილი თვისებით, დამოკიდებულია მაგნიტზე და არა თავის თავზე. ასევე პოეტი, ღვთაებრივი შთაგონებითაა აღფრთოვანებული – მუზის მეშვეობით, მაგრამ ეს ღვთაებრივი ძალა მას ყოველთვის მუზასთან ერთად შორდება.

ჩვენთვის, მუსიკოსებისათვის, დიდი ნუგეშია ის, რომ ხელოვნების გამაცამტკვერებელი პლატონი ხელოვნების იმ ერთადერთ სახეს წყალობს, რასაც მუსიკა და სასულიერო გალობანი ქვია. უფრო მეტიც, აღიარებს, რომ მუსიკა ის ერთადერთი ხელოვნებაა, რომელიც არ ცდილობს გრძნობადი სამყაროს მიბაძვას და აახლოებს ადამიანს იდეათა სამყაროსთან. ხელოვნების ამ სახეს პლატონი დასაშვებად მიიჩნევს თავის იდეალურ „სახელმწიფოში“, საიდანაც აძევებს „მიმბაძველობითი ხელოვნების წარმომადგენლებს“. ამავე დროს, მუსიკას პლატონი, განვარჯიშთან ერთად, მიიჩნევს აუცილებელ საშუალებად აღზრდისათვის.

პლატონის მოწაფე და ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი ფილოსოფოსი არისტოტელე მასწავლებლისაგან დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციაზე დგას ხელოვნებასთან მიმართებაში. არისტოტელეს ესთეტიკურ შეხედულებებს ვეცნობით „პოეტიკიდან“, „პოლიტიკის“ მე-8 წიგნიდან და „რიტორიკიდან“.

არისტოტელე გამოდის ხელოვნების, როგორც სინამდვილის მიბაძვის მაგერიალისტური გაგებიდან. არისტოტელე-

ლეს მიხედვით, გრძნობადი სამყაროსადმი მიბაძვა არის შემეცნებითი მოღვაწეობაც და ესთეტიკური ტკბობაც (დაკავშირებული შეცნობის სიხარულთან); ესთეტიკური ტკბობის ხარისხი იმდენად მაღალია, რამდენადაც მუსტია გამოსახულება, განსახიერება. ეს მსგავსება, სიმართლე, სისწორე არისგოგელესთან არ არის ნაგურალისგურ სიბრტყეში მოცემული; ის თვლის, რომ ხელოვნებამ მოვლენა უნდა გამოხატოს არა ისეთი სახით, როგორიც ის იყო, ან როგორიც ის არის ხოლმე, ანუ, არა შემთხვევით, არამედ მისთვის დამახასიათებელ მდგომარეობაში. არისგოგელე ხაზს უსვამს ხელოვნების მნიშვნელოვან, შემეცნებით როლს, – იგი ეხმარება ადამიანებს, გაიგონ და შეიმეცნონ, გონებაში აღადგინონ საგნები.

ისგორიასა და პოეზიას (ანუ, მეცნიერებასა და ხელოვნებას) ერთმანეთს რომ ადარებს, არისგოგელე გვეუბნება, – ხელოვნებამ ყურადღება უნდა მიაპყროს სინამდვილის არსებით ნიშნებს და ამდენად ის გაცილებით მაღლა დგას ფაქტების უბრალო ჩამოთვლაზე; იგი ისგორიაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია, რადგან პოეზია გადმოგვცემს უფრო მოგაღს, ისგორია კი – კერძოს. არისგოგელეს აზრით, ხელოვნების ყველა სახე რაიმეს ბაძავს, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიბაძვის საშუალებით, საგნითა და მასალით (თანამედროვე ენაზე – მხაგვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით): ბგერა – საშუალებაა მუსიკისა და სიმღერისათვის, საღებავები და ფორმები – ფერწერისა და ქანდაკებისათვის, სიგყვა, რიგმი, ზომა – პოეზიისთვის. ხელოვნების სახეებს არისგოგელე მოძრაობისა და სიმშვიდის ნიშნითაც ყოფს. პირველს მიაკუთვნებს პოეზიას, მუსიკასა და ცეკვას, ხოლო მეორეს – ფერწერასა და ქანდაკებას. კა-

თარზისი, ანუ განწმენდა, არისგოგელეს აზრით, ხელოვნების, კერძოდ, გრაგელის მიზანია, რაც იწვევს შიშის, განცდის, თანაგრძნობის ეფექტს და მივყავართ **ზნეობრივ განწმენდამდე.**

ზნეობრივი აღზრდის ეფექტურ საშუალებად არისგოგელე მიიჩნევს მუსიკას, კერძოდ, კილოებსა და მელოდიებს მუსიკაში. იგი მელოდიის სამ გიჰს განასხვავებს: **ეთიკურს** (რომელიც მორალურ გრძნობებზე მოქმედებს), **პრაქტიკულს** (რომელიც აქტიურობას აღვიძებს) და **ენტუზიასტურს** (რომელიც ექსტაზს იწვევს). აღზრდის მიზნით, სასურველია გამოვიყენოთ ეთიკური მელოდიები. რაც შეეხება კილოებს, ამაზე არისგოგელე ასეთი აზრისაა: „აღზრდისათვის საჭიროა მივმართოთ ისეთ კილოებს, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამება ეთიკურ მელოდიებს“.¹ ამგვარ კილოებს განეკუთვნებიან **დორიული** („გამოირჩევა ვაქეკაცური ხასიათით“) და **ლიდიური** („ხელს უწყობს ჯეროვანი და კეთილი აღზრდის განვითარებას“). აღზრდისათვის სრულიად შეუფერებლად სტაგირელი ფილოსოფოსი **ფრიგიულ** კილოს მიიჩნევს, რამდენადაც მისთვის „დამახასიათებელია ორგიული, ვნებიანი ხასიათი“.

ამგვარად, ძველბერძნულ ფილოსოფიაში, როგორც დავინახეთ, მშვენიერებისა და ხელოვნების ესთეტიკურ პრობლემებზე მსჯელობისას „მიმეზისის თეორიას“ ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც მაგერიალისგ, ასევე იდეალისგ (ობიექტივისგ) მოაზროვნებთან.

სწორედ ამ თეორიამ შეამზადა ნიადაგი, მომავალ საუკუნეებში არა მხოლოდ მუსიკის ხელოვნების განსავითარებლად, არამედ რაც მთავარია, – პროფესიული მუსიკის შესაქმნელად.

¹ Аристотель, “Политика”, кн. VIII, гл. 7.

THE PROBLEM OF MIMESIS IN THE CLASSICAL GREEK PHILOSOPHY AND IN THE MUSICAL ART

Summary

The term Mimesis is of Classical Greek origin and means imitation. This term appears in pre-Socrates philosophy, but it was interestingly developed in the considerations of Socrates, Plato, and Aristotle.

Pre-Socrates thoughts are prescribed to Pythagoras and representatives of “Pythagoras’ order”, as well as to Heraclites, Democritus, and Empedocles.

The essential merit of Pythagoreans as of founders of the doctrine of musical harmony in the explanation of harmony as of “coordination of contradictions” is substantially considered in the given research.

There are also considered philosophical thoughts of Socrates, Plato, Aristotle and their attitude toward both the art as a whole and one of its branches - music and sacred songs.



**ამერიკელი კომპოზიტორი ჯორჯ ფლინტი და მისი მეუღლე დაჩისთან,
ნათია და თამუნა ბერაიებთან**

ღირებულება და ესთეტიკური შეფასების მხატვრული ფორმა – ხელოვნება

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩემი ნაშრომის წინასიგყვაობაშივე მინდა დავაზუსტო ესთეტიკური შეფასების ფორმათა სახეობები.

საქმე ის არის, რომ შეფასების მხატვრული ფორმის, ანუ ხელოვნების გარდა, არსებობს შეფასების როგორც ლოგიკური ფორმა, ასევე ლოგიკურ-მხატვრული (ხაზგასმა აქაც და ყველგან ჩემია! დ.თ).

ესთეტიკური შეფასების ლოგიკური ფორმა თავის თავში გულისხმობს ესთეტიკურ მსჯელობას, როგორც დეონტოლოგიური ლოგიკის პრობლემას¹, ასევე ესთეტიკური მსჯელობის ესთეტიკურ-აქსიოლოგიურ გარკვეულობას (ანუ ესთეტიკური მსჯელობის, როგორც ესთეტიკური შეფასების ერთ-ერთი ფორმის სპეციფიკას); ხოლო ესთეტიკური შეფასების ლოგიკურ-მხატვრული ფორმა, – მხატვრული კრიტიკაა, რაც თავის თავში გულისხმობს მხატვრული კრიტიკის, როგორც ესთეტიკური შეფასების ერთ-ერთი ფორმის სპეციფიკას, ასევე ესთეტიკური შეფასების ფორმათა ურთიერთდამოკიდებულებასაც.

დასახელებულთაგან ჩემი მეცნიერული ინტერესის ობიექტს მხოლოდ პირველი წარმოადგენს, – ანუ, ესთეტიკური შეფასების მხატვრული ფორმა – ხელოვნება.

¹ ბერძნ. deon (deontis) საჭირო, აუცილებელი და logos მოძღვრება – ეთიკის ნაწილი, რომელიც განიხილავს „მოვალეობისა“ და „ჯერარის“ პრობლემებს.

ამ მცირე შესავლის შემდეგ გადავალ კვლევის ძირითად ტექსტზე, სადაც შევეცდები მხატვრულ ღირებულებებსა და მათ შეფასებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ლოგიკურად ვიმსჯელო და მივიღე მკითხველისათვის მისაღებ დასკვნებად.

* * *

„ღირებულება“, „ღირებულებითი მიდგომა“, – ეს ტერმინები ფართოდ გამოიყენება ყველა დროის ფილოსოფიაში. ადამიანი, სინამდვილეს რომ გარდაქმნის, არა მხოლოდ შეიმეცნებს, არამედ აფასებს კიდეც მას. როგორ ხდებიან მოვლენები ადამიანისათვის ესთეტიკურად მნიშვნელოვანი? რით განსხვავდებიან ესთეტიკური ღირებულებები მატერიალური და მწეობრივი ღირებულებებისგან? როგორია ესთეტიკური აღქმის სპეციფიკა? რას იძლევა ღირებულებითი მიდგომა „ესთეტიკურის“ არსისა და ხელოვნების გაგებისათვის?

ყველა ამ საკითხის განხილვისას ჩვენს პოსტკომუნისტურ სივრცეში, მათი მეცნიერული გადაჭრისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალ მეთოდოლოგიას და თანამედროვე ფილოსოფიასა და ესთეტიკაში ღირებულებითი მიდგომის ინოვაციური ინტერპრეტაციის მიღწევის მცდელობას.

შეძლებისდაგვარად, სწორედ ამას შევეცდები ჩემს მოკრძალებულ კვლევაში.

ტერმინები: „ღირებულება“, „შეფასება“ უძველეს დროში გაჩნდა. ეს ტერმინები ყველა ენაში აღმოცენდა სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების განსაკუთრებული გვარის აღმნიშვნელად, იმ მნიშვნელობის მახასიათებლად, რასაც ფლობდა ესა თუ ის საგანი ადამიანთან თავის დამოკიდებულებაში. ცნება „ღირებულების“ თეორიული გააზრების ცდებსაც აგრეთვე სოლიდური ისტორიული გრადიცია გააჩნია.

IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე არისგოგელე ახასიათებს ცნებას – „ღირსება“, როგორც „სრულყოფილების მიღწევას“.


„ღირსებანი“ და „ნაკლოვანებანი“ – ეს ის არის, რაც მდგომარეობს ცნობილ დამოკიდებულებაში რაიმესთან და გულისხმობს ადამიანთა მიერ ფლობილ საგანთა და მოვლენათა იმ კარგსა და ცუდს, რაც მათთვის დამახასიათებელია. „ღირსებებს“ მიეკუთვნება როგორც ჯანმრთელობა, ძალა, ასევე სილამაზე¹. – ამას გვეუბნება არისგოგელე თავის „ფიზიკა“-ში¹.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნებები, რომლებიც აღნიშნავენ სამყაროსთან ადამიანის ღირებულებით დამოკიდებულებას ამა თუ იმ ასპექტში – პრაქტიკულ-ეკონომიკურში, პოლიტიკურში, ეთიკურში, ესთეტიკურში, – ინტერპრეტირებულნი იყვნენ სხვადასხვაგვარად, იმის მიხედვით, თუ როგორ იყო გადაჭრილი ფილოსოფიის კარდინალური პრობლემები, ამროვნების ყოფიერებასთან, ცნობიერების მაგერიასთან დამოკიდებულების საკითხი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთის ფილოსოფიაში გაჩნდა ფილოსოფიური ცოდნის განსაკუთრებული დარგი – „ღირებულებათა ფილოსოფია“, რომელმაც შემდგომში მიიღო სახელწოდება „აქსიოლოგია“ (ბერძნულად *axia* – ღირებულება და *logos* – მოძღვრება).

გერმანელი ფილოსოფოსი ჰერმან ლოტცე სამყაროში სამ სფეროს გამოჰყოფს: პირველი, ეს არის – საყოველთაო კანონების სამეფო (ანუ აუცილებლად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების); მეორე – სინამდვილის ფაქტების, ნივთთა და სახეთა სამყარო; მესამე – ღირებულებითი დანიშნულების სამყარო

¹ Аристотель. «Физика». М., 1936, стр. 130.



ჩიორა და დანი ბაგონ გიზი ამირეჯიბთან



დანი და მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტი საშა კორსანგია

(die Wertbestimmungen); სიკეთის, სილამაზისა და სიწმინდის იდეები. შესაბამისად, ღირებულებანი მის მიერ განისაზღვრება როგორც ჭეშმარიტებათა და სინამდვილის საწინააღმდეგო, – განსაკუთრებული სამყარო¹.

ფილოსოფიური კატეგორიის რანგში აყვანილი „ღირებულების“ ცნება დასავლური ფილოსოფიის სხვადასხვა მიმართულების მიერ (ნეოკანტიანელთა, ფენომენოლოგთა) ჩემთვის, როგორც პიანისგისათვის, სრულიად მისაღებად – იდეალისგურად განისაზღვრებოდა.

ნეოკანტიანელი ფილოსოფოსის – ჰენრიხ რიკერტის სიყვებით, „მეცნიერებას თეორიულ ღირებულებათა შესახებ“ საქმე არა აქვს არც ფიზიკურ, არც ფსიქიურ ყოფიერებასთან; არც მაგერიალურ, არც გრძნობად და არც მგერძნობად რეალობასთან. როგორც „წმინდა“ მეცნიერება ღირებულებათა შესახებ, იგი დგას ყოფიერებათა შესახებ ყოველგვარ მეცნიერებათა საწინააღმდეგოდ და მისი ერთადერთი პრობლემა – თეორიული ღირებულების მნიშვნელობის პრობლემა“.²

ანთოლოგიის ერთ-ერთი შემდგენელი მ. რეიდერი, რომელიც სოლიდარობას უცხადებს მტკიცებას იმის შესახებ, რომ „ხელოვნება ღირებულებათა გამოხატულებაა“, ამავე დროს მიიჩნევს, რომ „ჭეშმარიტებათა საწინააღმდეგოდ, ღირებულებები წარმოადგენს უბრალოდ წარმოსახვითს... მაშინ, როდესაც ფაქტებს ერთიანი, მთლიანი ხასიათი აქვს დამკვირვებელთა ჯგუფისათვის, – ღირებულება განსხვავებული ხასიათის მფლობელია, რაც ცალკეული შემფასებლის სუბიექტურ უპირატესობაზეა დამოკიდებული“.³

¹ Hermann Lotze. Mikrokosmos. Ideen zur Naturgeschichte und Geschichte der Menschheit. Versuch einer Anthropologie. Bd. 3. Leipzig, 1864, S. 457.

² Г. Риккерт, Два пути познания. «Новые идеи в философии», сб. 7. Спб, 1913, стр. 52.

³ «Современная книга по эстетике». Антология. М., 1957, стр. 57.

თუ მშენიერებას განვიხილავთ, როგორც ღირებულებას, ხოლო ხელოვნებას, როგორც ღირებულებათა გამოხატულებას, მაგრამ ამავე დროს თვით ღირებულებას განვმარტავთ, როგორც წმინდა სუბიექტურ რეალობას, – მაშინ სილოგიზმის ყველა წესის თანახმად, მშენიერებაც და ხელოვნებაც იდეალისტურ განმარტებას ღებულობს.

აქსიოლოგიური მიდგომა აუცილებელია ესთეტიკური და მხატვრული მოვლენების კვლევისათვის, რომელთაც ღირებულებითი ბუნება გააჩნიათ; აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. ესთეტიკურის სფეროსადმი თავისთავად აღებული, აქსიოლოგიური მიდგომა არ არის ძალამოსილი, გამოავლინოს ამ სფეროს სპეციფიკა, ვინაიდან ღირებულებითი, არა მხოლოდ ესთეტიკური დამოკიდებულებაა. ღირებულებითია აგრეთვე მორალური და პრაქტიკული დამოკიდებულებაც. თვითონ ღირებულებები შეიძლება იყოს არა მხოლოდ ესთეტიკური (მშენიერება, სილამაზე), არამედ აგრეთვე მწიბორივი (სიკეთე), პრაქტიკული (სარგებლიანობა), შემეცნებითი (ჭეშმარიტება) და ა.შ., მაგრამ საქმე ის არის, რომ აქსიოლოგიური მიდგომა გვებმარება ესთეტიკურის სპეციფიკის გაგებაში, რამდენადაც, ჯერ ერთი, შემოსაზღვრავს ესთეტიკურ თვისებებს სხვა თვისებათაგან (არაღირებულებით თვისებათაგან) და მეორეც, საშუალებას იძლევა განისაზღვროს დამოკიდებულება ესთეტიკურსა და არაესთეტიკურ (ესთეტიკურის გარეშე მყოფ) ღირებულებებს შორის.

„ღირებულება“ და „შეფასება“ განსხვავებული ცნებებია ისევე, როგორც „ობიექტური“ და „სუბიექტური“. ასევე უნდა განვასხვავოთ შეფასებითი დამოკიდებულება ღირებულებითი ორიენტაციისაგან. ამ უკანასკნელს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შეფასების ობიექტად გამოდის ღირებულება – ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის პროცესში.

შეფასებითი დამოკიდებულება არ უნდა აფუროთ აგრეთვე თეორიულ-ღირებულებითში, ანუ აქსიოლოგიურში. აქსიოლოგიური დამოკიდებულებისას სუბიექტი ისწრაფვის ღირებულებათა არსის შეცნობისაკენ.

აქედან გამომდინარე, **ღირებულება ობიექტურია**, რამდენადაც იგი დაბადა პრაქტიკულმა დამოკიდებულებამ. სუბიექტისათვის ის ფლობს ობიექტურ ღირებულებას, რომელიც შეიძლება არც იყოს მთელი თავისი სისრულით მოაზრებული. **შეფასება კი სუბიექტურია**. ღირებულებისა და შეფასების განსხვავება შეესაბამება ობიექტისა და სუბიექტის პრაქტიკული და თეორიული დამოკიდებულებების განსხვავებას.

ღირებულებასა და შეფასებას შორის განსხვავება შესანიშნავადაა გამოხატული შექსპირის „ჰამლეტში“.

რომენკრანცთან და გილდესტერნთან საუბარში ჰამლეტი დანიას საპყრობილეს უწოდებს. რომენკრანცი არ ეთანხმება ასეთ განსაზღვრებას. ამასთან დაკავშირებით ჰამლეტი შენიშნავს: „მაშ, თქვენთვის იგი არ არის საპყრობილე, რადგან ნივთები თავისთავად არც კარგებია და არც ცუდები; ასეთებად ისინი ჩვენი შეფასებით იქცევიან. ჩემთვის ის საპყრობილეა“.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჰამლეტი აიგივეს ღირებულებასა და შეფასებას და უარყოფს ღირებულების ობიექტურობას. მაგრამ როდესაც რომენკრანცი, თითქოს ჰამლეტის ამრი განაგრძობს, – აცხადებს: „მაშასადამე, ცხელ მას (დანიას) თქვენი პატივმოყვარეობა აქცევს. თქვენი მოთხოვნილებებისათვის იქ სივიწროვეა“. ჰამლეტი მას ირონიულად უპასუხებს: „ო, ღმერთო! დამატყვევეთ კაკლის ნაჭკუჭში და მე თავს ვიგრძნობ უსასრულობის მბრძანებლად“.¹

¹ Вильям Шекспир. Избранные произведения. М., 1953, стр. 256.



**საბალეტო ხელოვნების დიდოსტაგი, მსოფლიოში აღიარებული მანია
პლისეცკაია, მისი მეუღლე კომპოზიტორი როდიონ შჩედრინი, –
ბალეტების: „ანა კარენინას“, „კარმენ-სუიტას“, „ქალი ძაღლით“,
ოპერა „მკვდარი სულების“ და სხვ. მუსიკის ავტორი) – რუსეთის
კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;
ნათია და დანი თაქთაქიშვილები**



**დანი თაქთაქიშვილი უკრავს ქალბაგონ ინესა მერაბიშვილის
(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის,
გალაკტიონისა და ბაირონის შემოქმედებათა მკვლევარისა და
მთარგმნელის) დარბაზში**

ამრიგად, საგნები თავისთავად, ადამიანთან დამოკიდებულიების გარეშე, არც კარგებია და არც ცუდები, მაგრამ ისინი ხდებიან კარგნი, ან ცუდნი არა იმის წყალობით, რომ ადამიანი შესძენს მათ თავისი ცნობიერებით, „პატივმოყვარეობით“ (როგორც ამბობს რომენკრანცი) ამ თვისებებს, არამედ საგანთა ეს თვისებები დამოკიდებულნი არიან საგნისა და ადამიანის პრაქტიკულ ურთიერთობაზე. ცნობიერება კი ასახავს შეფასებაში ამ ობიექტურ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც შეადგენს კიდევ ღირებულებას.

კომპოზიციური თხზავს სონაგას, სიმფონიას, ან რომანსს და თავის თხზულებას ჩაწერს სანოგო ფურცელზე. შექმნილია მუსიკალური ნაწარმოები, რომლის სიცოცხლე მხოლოდ ახლა იწყება. რა თქმა უნდა, შეიძლება დაწერილის წაკითხვა ნოტებში თვალებით, „შენთვის“. მუსიკოსებს ეს შეგვიძლია: ისე ვკითხულობთ ნოტებს, როგორც სხვა ყველანი წიგნებს და მუსიკა გვესმის შინაგანი სმენით, ჩვენს ცნობიერებაში. ოღონდ მუსიკალური ნაწარმოების სრულფასოვანი ცხოვრება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფლეიგისტი, თუ მესაყვირე გუჩებთან მიიგანს თავის ინსტრუმენტს, პიანისტი მიუჯდება როიალს, თავის ჯოხს აღმართავს ღირიჟორი და ჩუმიდებიან საკონცერტო დარბაზში, ოპერაში, თუ საკუთარ სახლში ტელევიზორის წინ მსხლომი მსმენელები; ერთი სიგყვით, როცა ნაწარმოები მოხვდება მუსიკოს-შემსრულებლის ხელში და მუსიკის ხმებით ივსება დარბაზი, რაც ადამიანებს გვრის ესთეტიკურ ტკბობას, სიამოვნებას.

როიალის დახურული სარქველის ქვეშ მოთავსებული კლავიატურა მხოლოდ პერსპექტიული ღირებულების დამკვიდრების საფუძველია; ანუ ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, პიანისტია საჭირო და მისი დიალოგის მეორე მხარე – მსმე-



კონცერტის წინ „ერთად გადიან რეპეტიციას“ დარი და მომავალი პიანისტი, მისი პატარა ლუკინო

ნელები. მათ შორის განდემი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ შემსრულებელი ხელოვანი მსმენელებს იმ ერთადერთ, მხოლოდ მისთვის არსებულ, ჯერ არსმენილ და არგავონილ ვარიანტს შესთავაზებს კომპოზიტორის ჩანაფიქრისას, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება მსმენელს, როგორც ფასდაუღებელი საჩუქარი.

აი, ეს – **სუბიექტური ღირებულებაა**, ერთადერთი და განუმეორებელი, რასაც გენიალური პიანისტები ამკვიდრებენ, უკვე როგორც ობიექტურ ღირებულებას (ანუ სხვათათვის **ობიექტურად არსებულს**).

ღირებულებასა და შეფასებას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ღირებულება ობიექტური იმდენადაა, რამდენადაც იგი ყალიბდება სამოგადობრივ-ისტორიული პრაქტიკის პროცესში. შეფასება კი წარმოადგენს ღირებულებასთან სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატულებას და ამდენად, შეიძლება იყოს როგორც ჭეშმარიტი (თუ იგი შეესაბამება ღირებულებებს), ასევე მცდარი (თუ იგი ღირებულებებს არ შეესაბამება). სუბიექტურ შეფასებათა ჭეშმარიტება-მცდარობის თვითონ პრობლემა შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ ცნებების – „ღირებულება“ და „შეფასება“ – გარჩევა-განსხვავების შემთხვევაში.

ესთეტიკურის, როგორც ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობის გაგების ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი გაგება საკმარისად არ ანსხვავებს ცნებებს „ღირებულება“ და „შეფასება“.

უდავოა, რომ ესთეტიკური დამოკიდებულება არსებობს როგორც ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთკავშირი; მაგრამ სამოგადობრივ-ისტორიული პრაქტიკის საფუძველზე აღმოცენებულმა ესთეტიკური დამოკიდებულების პრაქტიკამ კაცობრიობა მიიყვანა იქამდე, რომ ესთეტიკური დამოკიდე-

ბულების ობიექტურმა მხარემაც და სუბიექტურმაც შეფარდებითი თავისთავადობა (დამოუკიდებლობა) შეიძინეს.

სუბიექტური მხარის განვითარებამ ჩამოაყალიბა ადამიანთა ესთეტიკური უნარი – ესთეტიკური გემოვნება, იდეალები, მოთხოვნილებები, რომლებიც ადამიანს გააჩნია არა მხოლოდ ესთეტიკური აღქმისა და განცდის პროცესში.

მეორე მხრივ, ესთეტიკური დამოკიდებულების ობიექტიც არსებობს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აღიქვამენ, არამედ მაშინაც, როცა მას არავინ აღიქვამს.

იმ „ინფორმაციის“ შემცველი ობიექტი, რომელიც აუცილებელია ესთეტიკური ცნობიერებისათვის, შესაძლებელია ჩართულ იქნას ამა თუ იმ კონკრეტულ ესთეტიკურ დამოკიდებულებაში. საფიქრებელია, რომ ობიექტურ დამოკიდებულებაში მონაწილეობის უნარს, – უფლება გვაქვს ვუწოდოთ ესთეტიკური ობიექტი, ობიექტური ესთეტიკური ღირებულებანი, ან მოვლენათა ღირებულებითი თვისებანი.

სავსებით ნათელია, რომ ობიექტურ-ესთეტიკურის ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, ესთეტიკური ღირებულება, ან ესთეტიკური თვისებები გამოდიან როგორც ესთეტიკურ განცდათა ობიექტური წანამძღვრები, მაგრამ ისინი არამც და არამც არ არიან განცდათა იგივეობრივნი.

მოვიშველიებ გენიალურ ლევ ტოლსტოის სიტყვებს:

„ჩვენ გვიყვარს ადამიანები იმ სიკეთისთვის, რაც მათთვის ჩვენ გავიკეთებია; და არ გვიყვარს იმ ბოროტებისთვის, რომელსაც ჩვენ მათ ვუკეთებდით“¹.

ესთეტიკური განცდა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ესთეტიკური აღქმის პროცესში ერთმანეთთან შეხებაში მოვლენ (თუ შეიძლება ასე ითქვას) ესთეტიკური დამოკიდებულების ობიექტი და ადამიანის ესთეტიკური უნარი.

¹ Лев Толстой. «Живой Труп», стр. 85.

ბოლოსიგყვაობა

ცნობილმა მეცნიერმა – ალექსეი თევდორეს ძე ლოსევმა, რომელმაც ყოველმხრივ შეისწავლა ჰომეროსის ეპოსში გამოყენებული, ესთეტიკური გერმინოლოგია, დაასკვნა, რომ ბუნებისა და საზოგადოების სხვადასხვა მოვლენებთან ესთეტიკური დამოკიდებულება ჰომეროსთან გამოხატულია შემდეგნაირად: ნივთები, – განსაცმელი, იარაღი, აღჭურვილობა, ნაკეთობანი, – **ესთეტიკურად შეფასებულია 493-ჯერ**; ადამიანები და ადამიანის მსგავსი ღვთაებანი **ესთეტიკურად ფასდებიან 374-ჯერ**; ცხოველთა სამყარო სულ 15-ჯერ, ხოლო მცენარეთა – მხოლოდ 9-ჯერ.¹ ეს ციფრები კომენტარებს არ საჭიროებენ. ლაპარაკია ჰომეროსის ეპოსზე, რომელშიც ცხადია, სინამდვილესთან ადამიანის პირველყოფილი ესთეტიკური დამოკიდებულება როდია გამოხატული. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ გექსტების ანალიზიდან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: „ჰომეროსისთვის ყველაზე მშვენიერი – გაკეთებული ნივთია და არა ღმერთები, ადამიანები, სამყარო, არც ადამიანის სული, არც მისი საქციელი, არც საზოგადოება, არც ისტორია, არამედ კარგად გაკეთებული ფიზიკური ნივთი“ (ზემოთ მითითებულ ლოსევის წიგნში, გვ. 133).

ადამიანის შრომის შედეგში თითქოს კონცენცირებულია მისი ფიზიკური და სულიერი ძალა. ამიტომ შრომის შედეგის აღქმა ადამიანში აღვიძებს შემოქმედების სიხარულს, აღგაცებას ადამიანის შემოქმედებითი უნარისადმი. შემოქმედებით შრომაში ადამიანმა აითვისა ისეთი ბუნებრივი კანონზომიერებანი, როგორებიცაა: სისწორე, სიმეგრობა, რიგმი, ჰარმონია, მიზანშეწონილობა, ზომა (ბერძნული სიგყვა „ჰარმო-

¹ А.Ф. Лосев, Эстетическая терминология ранней греческой литературы (эпос и лирика), т. LXXXIII, стр. 134.

ნია“ ხომ მოდის ძირიდან „არ“, - რაც „დაკავშირებას“, „მიერთებას“ ნიშნავს).

აი, ამ ყველაფერმა კი მიგვიყვანა საბოლოო ინსტანციამდე; იმ ერთადერთ, უმშვენიერეს, განუმეორებელ სამყარომდე, რომელსაც ჩვენი სულების ნავსაყუდელი, ანუ **მუსიკის სამყარო** ქვია.

კაცობრიობის გენიალური ნაწილი (მაშასადამე უმცირესობა) კომპოზიტორად დაბადა უზენაესმა. არსებობენ ჩვეულებრივი, კარგი, საუკეთესო, და... გეალმაგებული კომპოზიტორები კაცობრიობის ისტორიაში. პირველი სამი მახასიათებელი ყველასთვის გასაგებია, მაგრამ „გეალმაგებული“ ალბათ მაინც დამუსტებას საჭიროებს. ეს სხვისი არმსგავსია, ჩვეულებრიობის ფარგლებში მოუთავსებადია, გამონაკლისია თავისი გენიალობით, ერთადერთია და განუმეორებელი.

გალაკტიონი მინდა მოვიშველიო, – უცყუარი **აბსოლუტური სმენის პოეტი, რომლის მუსიკალურ გენიას ყოველივე**, – ნამდვილად ხილული თუ ოცნების თვალთა წარმოდგენილი – **პოეტური მელოდიების ენაზე გადაჰქონდა:**

„სად ზღვის ჭავლებია, ყვაეილთა მთოველი,
კვლავ ვხვდებით ერთმანეთს მე და ბეთჰოვენი.
ოცნება მგონია, სიმზარი მგონია...“

ქართული მოგივი – მეცხრე სიმფონია“...

ეს დიად სულთა ნათესაობაა. თვით გალაკტიონისვე სიტყვებს თუ მოვიხმობთ, ეს ხომ „ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსებაა!“ (გ. ტაბიძე, ლექსი „მარმარილო“).¹ მარგონოტებით კი არ იქმნება ხუთხაზიან ფურცელზე სასწაული მუსიკა, არამედ სიტყვებითაც, თუ ამ სიტყვების შემოქმედი და გამმქლავნებელი გალაკტიონია:

¹ გ. ტაბიძე, ლექსები, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაცია, 2008 წ. გვ. 96.



პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი და პროფესორი რევაზ თავაძე, ოთარ თავაძეშვილის სახელობის ერთგული კონკურსის ლაურეატი და პრიმორი დაჩი თავაძეშვილი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები და პრიმორები, ღები ნათია და თამუნა ბერაიები

„ვაგნერი წმინდა, ვით ზეცა და ბნელი, როგორც ქვესკნელი.

ვაგნერი, დისონანსების მშვენიერებად შემქმნელი“...

ეს ხომ მშვენიერებაზე აღმატებული რამაა, მშვენიერების ესთეტიკური კატეგორიის ფარგლებში დაუტყვევლია, ავსებულ და გადმოდერილია, ჩვეულებრიობის წამლექავია, ანუ დავარქვათ სახელი, – ეს ამაღლებულია!!!

მხოლოდ ამ ესთეტიკური კატეგორიის ფარგლებში თავსებადია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის: მე-3 „გმირული სიმფონია“, მე-5, მე-9 სიმფონიები, ოპერა „ფიდელიო“; მისი უვერტიურები: „ეგმონტი“, „კორიოლანი“, სონატებიდან: „პათეტიური სონატა“, „აპასიონატა“, „მთვარის სონატა“; 10 „საზვიამო მესა“ – ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის.

გავიხსენოთ მეორე გერმანელი კომპოზიტორის, საოპერო ხელოვნების რეფორმატორის – რიჰარდ ვაგნერის „ტანჰოიზერი“, „ლოენგრინი“, „ტრისტან და იზოლდა“, „პარსიფალი“; ტეგრალოგია: „ნიბელუნგების ბეჭედი“, „რაინის ოქრო“, „ვალკირია“, „მიგფრიდი“, „ღმერთების სიკვდილი“.

აღბათ ჩემი ამ მოკრძალებული კვლევის მკითხველებიც დამეთანხმებიან იმაში, რომ სხვაგან სად, რომელ ესთეტიკურ კატეგორიაში შეიძლება მოვათავსოთ რიჰარდ ვაგნერის ეს სასწაული მუსიკალური ქმნილებანი, რომელთა მსგავსი არც ვაგნერამდე და არც მის შემდეგ არავის არაფერი შეუქმნია?!

პასუხი ერთადერთია – ამაღლებულის ესთეტიკურ კატეგორიაში!

ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების კომპოზიტორი ერთია, მაგრამ შემსრულებელი მრავალი. ნებისმიერ გენიალურ პიანისგს კომპოზიტორთა ქმნილებებთან საკუთარი დამოკიდებულება გააჩნია და აქედან გამომდინარე, – შესრულების

საკუთარი მანერა, – სხვათაგან განსხვავებული. ამიგომ მსმენელს ყოველთვის აინტერესებს არაერთხელ მოსმენილი ნაწარმოების კიდევ მოსმენა და იმ ესთეტიკური სიამოვნების განცდა, რასაც მასში ყოველი ახლებური ინტერპრეტაცია იწვევს.

ჩვენს პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში დღითიდღე უნდა იზრდებოდეს კლასიკური, ნატიფი ხელოვნების როლი, რამდენადაც მხატვრული შემოქმედებით შექმნილი ღირებულებანი ჩვენში მზნეობრივი რწმენის, სულიერი კულტურის რაფინირების გარანტიაა.

კლასიკური მუსიკის მოსმენა ხომ ბგერებად გაჟღერებული ახალ-ახალი ფილოსოფიაა, სულიერების ზეიმი და დღესასწაულია, რაც მუდამ ასე სჭირდება ადამიანებს.

ამ სამ „ფორტეზე“ მინდა დავასრულო ჩემი სათქმელი.

ART IS THE VALUE AND ARTISTIC FORM OF ESTHETIC APPRAISAL

Summary

Definitions of another two forms of appraisal - logical and logical-artistic are given directly in the introduction to the work.

In author's opinion, when discussing the problems related with artistic value and its appraisal, a crucial importance is attached to the new methodology and attempt of achievement of innovative interpretation of evaluative approach in the modern philosophy and esthetics. Author logically and consistently uses this method from the very first sentence of research work till the end and comes to the logical conclusion.

Reasoned answers are given in this work on the following questions: how the phenomena become esthetically important for humans; what the difference between esthetical values and material and moral values is; what the specificity of esthetic perception is; what gives evaluative approach for understanding of the essence of "esthetical" and artistic appreciation.



თამუნა ბერაია, დანი თაქთაქიშვილი, ნათია ბერაია, ამერიკის ყოფილი ელჩი
საქართველოში ჯონ ტეფტი და ამერიკაში მოლგაწე სახელგანთქმული პიანისტი
ეთერ ანჯაფარიძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. Аристотель, “Об искусстве поэзии”, 1447a, М., 1957.
2. Аристотель, “Политика”, кн. VIII, гл. 6, 7.
3. Аристотель, “Физика”. М., 1936.
4. Ю.Б. Борев, Эстетика, М., Политиздат, 1988.
5. გ. გაბიძე, ლექსები, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, 2008 წ.
6. Вильям Шекспир, Избранные произведения. М., 1953.
7. მს. კაგანი, ესთეტიკა (ლექციების კურსი), გამ. თსუ, თბ., 1984.
8. Лев Толстой, “Живой Труп”, М., 1936.
9. А.Ф. Лосев, “Эстетическая терминология ранней греческой литературы (эпос и лирика)”, т. LXXXIII.
10. პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი“ (ძველბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ).
11. Генрих Риккерт, Два пути познания. «Новые идеи в философии», сб. 7. Спб, 1913.
12. «Современная книга по эстетике». Антология. М., 1957.
13. სერგი დანელია, ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1978.
14. Hermann Lotze. Mikrokosmos. Ideen zur Naturgeschichte und Geschichte der Menschheit. Versuch einer Anthropologie. Bd. 3. Leipzig, 1864.
15. ნიკო ჭავჭავაძე, ესთეტიკის საკითხები, თბ., 1958.
16. Н.З. Чавчавадзе, Культура и ценности, Тб., изд. «Мецниереба», 1984.

დაჩი თაქთაქიშვილი დაიბადა 1983 წელს. თბილისის 57-ე სკოლის პარალელურად დაამთავრა ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერი ხელოვნების კოლეჯის საფორტეპიანო განყოფილება.

2001 წლიდან ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის სტუდენტია პროფესორ რევაზ თავაძის ხელმძღვანელობით. 2007 წლიდან სწავლას განაგრძობს კონსერვატორიის მაგისტრატურაში, პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის კლასში. წარჩინებით დაასრულა და მოიპოვა მუსიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფორტეპიანოს სპეციალობით.

დაჩი თაქთაქიშვილი არის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის ეროვნული კონკურსის ლაურეატი და პრიზიორი.

2006 წლიდან დაჩი თაქთაქიშვილს რეგულარულად იწვევენ შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქებში კონცერტების გასამართად; კერძოდ: ქენევაში, ბერნში, ინგერლაკენში, შპიცში, ვევეში, ივერდონში, დუბუნგენში, სიმპლონის ალპებში...

დაჩი ამჟამად მუშაობს კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სემინარიაში პედაგოგად. მისი მოსწავლეები დიდ წარმატებებს აღწევენ ქვეყნის მასშტაბით. ამავ დროს ავტორია „იონასის“ საერთაშორისო პროექტისა „მუსიკის შვილები“, რაც გულისხმობს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მიარებას კლასიკურ მუსიკასთან.

დაჩის გავლილი აქვს მასტერკლასები: ეთერ ანჯაფარიძესთან, ალბერტ მასმანთან, ჯარჯი ბალანჩივაძესთან, ჯან-კლოდ პენგიესთან და სხვა გამოჩენილ მუსიკოსებთან.

მას გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო ჟურნალში „ხელისუფლება და საზოგადოება“ (2008 წ., № 1; 2008 წ. № 3(7), გომი მე-2).

2011 წელს გამოსცა წიგნი – „პიანისტური ხელოვნების დიდოსტატები: იოზეფ ჰოფმანი, ფერუჩო ბუზონი“. ეს მისი მეორე წიგნია.

დაჩის ჰობია ნიშანში სროლა და ავტორბოლა (კარგინგი).

Dachi Taktakishvili
Philosophic and esthetical understanding of musical art

Tbilisi
2013

გარეკანზე თბილისის ბაქარია ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა
(მხატვარი სერგო ქობულაძე)

წიგნში გამოყენებულია ფოტოხელოვანის –
დავით იაკობაშვილის ფოტოები

გამომცემლობა
„საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი“
თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, 7

ელექტრონული ვერსია პაატა ქორქიასი

